# გენუის კონფერენციის გაკვეთილები

# კომუნისტური ინტერნაციონალის მოწოდება

## მთელი ქვეყნის მუშებისადმი.

**ბურჟუაზიული ანტანტა იშლება—საბჭოთა რუსეთი ძლიერდება.**

გენუის კონფერენცია დამთავრდა. მისი ინიციატორთა აზრით ეს კონფერენცია იკრიბებოდა, არც მეტი არც ნაკლები, იმისთვის, რომ აღედგინათ სამეურნეო „წონასწორობა" ევროპაში, რომელიც დაშალა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა. ჰინჰრაჰა ჩიტი შეგვპირდა ზღვის ცეცხლის წაკიდებას; მაგრამ არავის არ შეუძლია თვითონ ჩაჰკიდოს ხელი თავის ქოჩორს და ასწიოს თავისი ტანი მაღლა. **იმპერიალისტური ბურჟუაზია ვერ შესძლებს იხსნას სამეურნეო გაპარტახებისაგან ის ევროპა, რომელიც თვით მან გადაჩეხა იმპერიალისტური სისხლის ღვრის მორევში და რომელსაც ის ანადგურებდა და სწვავდა 4 წლის განმავლობაში ისევე, როგორც სწვამენ ხოლმე სანთელს ორივ მხრივ.**

**ბურჟუაზიამ დაგვანახა გენუაში მთელი თავისი უძლურება**, თავისი აბსოლიუტიური იმპონტენტობა. ახმაურდენ მთელი ქვეყნის გასაგონათ, შეაწუხეს ყველა პირველი მინისტრები უმდიდრესი ბურჟუაზიული ქვეყნებისა, თვით იტალიის მეფეც კი, გენუის არქიეპისკოპოსიც, რომის პაპაც და სხვა მხნელნი კაცობრიობის. და მერე რა მოხდა? სტკეპნეს ერთი ადგილი რამოდენიმე კვირის განმავლობაში და ეს „მუშაობა" დაამთავრეს, მით, რომ ღვთის წყალობით ეხლა ჰააგაში სურთ გადაბარგდნენ. პატარა უთანხმოებებმა და წინააღმდეგობებმა, რომელიც ხდებოდა „გამარჯვებულ—სახელმწიფოთა შორის, დაანახვა მთელ ქვეყანას თუ როგორი ღრმა წინააღმდეგობანი არსებობენ ინგლისსა და საფრანგეთს შორის, იაპონიასა და შეერთებულ შტატების შორის, იტალიისა და საფრანგეთს შორის, „გამარჯვებულ ქვეყნებსა" და გერმანიის და სხვა.

ერთი ლიგა წარმოადგენს აშმორებულ ლეშს, რომლის თავიდან მოცილება გენუის კონფერენციამაც ვერ შესძლო. მაგრამ ანტანტაც ირღვევა და ნაწილდება ისე, როგორც რაიმე გამოუსადეგარი ნივთი. რაც უფრო და უფრო ფიცულობენ ლლოიდ-ჯორჯი და ბარტუ, რომ ანტანტა მტკიცე და მაგარია, რომ ინგლის-საფრანგეთის დამოკიდებულებაში სუფევს თანხმობა და სიყვარული, მით უფრო დასცინიან ყველა ბეღურა ჩიტები ასეთ მათ თვალთმაქცობას და ყოველი შეგნებული პროლეტარიატისათვის ცხადი ხდება, რომ ჭირვეული ანტანტის დღენი დათვლილია

არას დროს ამდენხანს ისე აშკარა არ იყო ბურჟუაზიის დეკადანსი, როგორც ეს გამოჩნდა გენუაში. **ბურჟუაზიული სისტემის გახრწნა და დაშლა ხწარმოებს** გასაოცარი სისწრაფით. გარეგანი ბრწყინვალება ბურჟუაზიული მთავრობების გვაგონებს იმ სიწითლეს, რომელიც მოსჩანს ხოლმე ჰლექით დასნეულებულ ავადმყოფის ლოყებზე. **წარმავალი უსიცოცხლო კლასი**—აი რას იტყვის ბურჟუაზიის შესახებ ყოველი დაკვირვებული ადამიანი, რომელიც კი თვალყურს ადევნებდა გენუის კონფერენციის მუშაობას. **ბურჟუაზიის ვარსკვლავი ჩადის—აი მთავარი გაკვეთილი გენუისა. ხოლო მუშათა კლასი კი იღვიძებს და ძლიერდება. ეს მომავალი ვარსკვლავია.** მისი ძალები, პირველყოვლისა ნელნელა, ხოლო შემდეგ თანდათან უფრო ჩქარა და ჩქარა გაძლიერდება. მუშათა კლასი შესცვლის მთელ ქვეყნიერებაზე ბურჟუაზიის ხელის უფლებას. მთელი თავისი სიცხადით დამტკიცდა ეს იმ როლით, რომელიც გენუაში ითამაშა საბჭოთა რუსეთის დელეგაციამ. რუსეთის პროლეტარული რევოლიუცია მძიმე მდგომარეობაშია, 4 წლის განმავლობაში აწამებდენ და სჯიჯგნიდენ საბჭოთა რუსეთს ინტერვენციებით, შეთქმულობითა და თეთრების ტერორით. საბჭოთა რუსეთს თავს დაატყდა საშინელი სიმშილობა. მაგრამ მიუხედავად ამისა რუსეთის რევოლიუცია არის **ძლევამოსილი რევოლიუცია**. და მსოფლიოს ეს პირველი ძლევამოსილი პროლეტარული რევოლიუცია ამაყი თავის დაჭერით იდგა საერთაშორისო ბურჟუაზიულ სამსჯავროს წინაშე. და მხოლოდ ამიტომ მთლიანი პროგრამა, დასრულებული მსოფლმხედველობა, ისტორიული დიადი პერსპექტივა, აზროვნების სიძლიერე, გონების სიმძაფრე—ქონდა მხოლოდ **საბჭოთა დელეგაციას**, რომელიც იცავდა არა მარტო პროლეტარულ რუსეთის ინტერესებს, არამედ მთელი ქვეყნის პროლეტარიატისასაც. **მხოლოდ მარტო გამოხატავდა გენუაში კაცობრიობის მომავალს, მაშინ, როდესაც ყველა სხვა ბურჟუაზიული დელეგაციები წარმოადგენდენ დახავსებულ წარსულს.**

**განიარაღების წინადადება.**

საბჭოთა დელეგაციის პირველი წინადადება **გენუაში შეეხებოდა განიარაღების საკითხს.**

თქვენ ამბობთ, რომ განზრახვა გაქვთ აღადგინოთ ევროპის სამეურნეო წონასწორობა, რომელიც დაანგრია თქვენმავე იმპერიალისტურმა ომმა? მაშ გადადგით პირველი ნაბიჯი, მოდი დავიწყოთ განიარაღება! ასე უთხრა საბჭოთა დელეგაციამ ბურჟუაზიის ჩარჩებს, რომლებიც ადამიანის ხორცით მოვაჭრეობენ. ბუნებრივია, რომ საფრანგეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის წარმომადგენელმა ბარტუმ, ასეთი წინადადება ჩასთვალა თავის პირად შეურაცყოფათ. უფრო „ზრდილობიან" ფორმაში ეს წინადადება უარყო ინგლისისა და ყველა სხვა სახელმწიფოთა დელეგაციებმა.

როგორი დასკვნა უნდა გამოიტანოს აქედან მთელი ქვეყნის მუშებმა?

მხოლოდ ასეთი: განიარ**აღება შეუძლებელია მანამდის, სანამ ხელის უფლების სათავეში ბურჟუაზია სდგას. განიარაღება შეუძლებელია პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების გარეშე.** საბჭოთა დელეგაციის წინადადება განიარაღების საკითხის შესახებ არის ის ისარი, რომელიც პირდაპირ გულში შესო 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის წარმომადგენლებსაც. ეს წვრილ ბურჟუაზიული მეშჩანები, რამოდენიმე წლის განმავლობაში ყოველგვარად ამღერებენ ტკბილ პაციფისტურ მელოდიებს, მათ ყურები გამოუჭედეს მუშებს თავისი ქველმოქმედური ქადაგობით მშვიდობიანობის სიყვარულის შესახებ. მათ რომ მოუსმინოთ, კაპიტალსა და შრომის არსებულ წინააღმდეგობათა დაძლევა სრულებით ადვილია, მაგრამ ამისათვის საჭიროა მხოლოდ მივიღოთ რეცეპტები 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალებისა და ამის შემდეგ ბურჟუაზიაც განიარაღდება, აღარ იქნება ომები და მგლებიც დაუმეგობრდებიან ბატკნებს.

რაღა დაგვანახვა გენუამ? დაუჭირეს თუ არა მხარი 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის წინამძღოლებმა საბჭოთა დელეგაციის წინადადებას განიარაღების შესახებ? რასაკვირველია, არა! ისინი ხომ აღარ იქნებოდენ ბურჟუაზიის ლაქიები, რომ საბედისწერო წუთებში არ გააკეთონ ის, რასაც მათ ბურჟუაზია უბრძანებს. 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალები ფაქტიურად ამ საკითხშიდაც ბურჟუაზიის მხარეზე აღმოჩნდენ და ერთხელ კიდევ თვითეული შეგნებული მუშა ეტყვის თავის თავს: **თუ გსურს განიარაღება იბრძოლე პროლეტარული რევოლიუციისათვის; თუ გსურს განიარაღება მოიპოვე პროლეტარიატის დიქტატურა;** ხოლო ამისათვის კი მხარი უნდა დაუჭირო კომუნისტურ პარტიას.

**ბურჟუაზიის უმთავრესი პაროლი გენუაში.**

„მთლიანი ფრონტი" გენუაში ბურჟუაზიამ მაშინ შექმნა, როდესაც საქმე შეეხო პირველი პროლეტარული რესპუბლიკის, საბჭოთა რუსეთის გაცარცვის ცდას. „რესტიტუცია" აი მთავარი პაროლი ბურჟუაზიისა გენუაში. გაუმარჯოს რესტიტუციას! რესტიტუცია—ყველაზე წინ! რესტიტუცია—ცივილიზაციისა და სიბრძნის უკანასკნელი სიტყვაა! რესტიტუციის გარეშე არ არის ხსნა!

რას გულისხმობდენ ამ სიტყვაში რა არის ეს ჭირვეული „რესტიტუცია"? უბრალოდ რომ ვსთქვათ საქმე შეეხებოდა იმას, რომ აეძულებიათ რუსეთის პროლეტარული რევოლიუცია, რომ მას აღედგინა (რესტავრაცია) უწმინდესი კერძო საკუთრების უფლება იმ უცხოელის მილიონერებისა, და მილიარდელების რომელთაც 1917 წ. რევ. ქონდათ საკუთრებანი რუსეთში. ისინი მშევრნი არიან—კაპიტალისტების ეს ვეშაპები. ისინი ალბათ არ იქნებიან ორასეულზე მეტი. ისინი შეიძლება თითებზე ჩამოვთვალოთ, რუსეთის „რესტიტუციით" დაინტერესებულნი, ბელგიელი, ფრანგი და ინგლისელი კაპიტალისტების ეს მაგნატები. მაგრამ ბურჟუაზიულ სამყაროს ფაქტიურ მბრძანებლებათ ითვლებიან სწორედ მილიარდერები. ბურჟუაზიული მთავრობები, როგორც სთქვა მარქსმა, წარმოადგენენ, მხოლოდ და მხოლოთ აღმასრულებელ კომიტეტს ფულის ტომრებისას. და სწორეთ ამ ასეული მილიონერებისა და მილიარდერების დუდუკზე ცეკვავდენ ყველა ეს ლოიდ-ჯორჯები და ბარტუები.

— ვერავითარ „რესტიტუციას" თქვენ ვერ მიაღწევთ! პროლეტარულმა რევოლიუციამ რუსეთში არ აღადგინა საკუთრების უფლება თქვენის გულის გამახარებელ კაპიტალისტური ვეშაპებისა, ასე განუცხადა საბჭოთა რუსეთმა იმ გაუმაძღარ ხროვას, რომელსაც თავი შეეყარა გენუაში. და დაახლოვებით ასეთივე პასუხი მიიღო ბურჟუაზიამ სესხის საკითხშიდაც.

**საბჭოთა რუსეთს კბენა ვერ მოახერხეს.**

რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციას ჯერ დაემუქრენ ყოველგვარ ზეციური ჭექა ქუხილით, ხოლო შემდეგ, იბუზღუნეს და ილანძღეს რა, დამშვიდნენ და მიიღეს ძალიან კმაყოფილი სახეც კი. საერთაშორისო ბურჟუაზიას კიდევ ქონდა საკმაო ძალა უარი ეთქვა სესხის მიცემაზე პირველი პროლეტარული რესპუბლიკისათვის, რომელსაც თვით ისინი 4 წლის განმავლობაში უსირცხვილოდ აპარტახებდენ და სძარცვავდენ. მაგრამ ბურჟუაზიული ევროპა, საერთაშორისო პროლეტარიატის საბედნიეროთ, აღმოჩნდა უკვე საკმარისად სუსტი იმისათვის, რომ შესაძლებლობა ქონებოდა თავზე მოეხვია პირველი პროლეტარული რესპუბლიკისათვის ახალი ვალდებულება, ან და აღედგინა ძველი მონობა უცხოელ კერძო საკუთრებისა. ბურჟუაზიულმა ევროპამ უკვე ვეღარ შესძლო საბჭოთა რუსეთისათვის ეკბინა—კბილები მოულპა და შორს არ არის ის დრო, როდესაც ეს კბილები მას სავსებით დასცვივდება.

**ხელშეკრულება გერმანიასთან.**

საბჭოთა რუსეთმა ხელშეკრულება დასდვა გერმანიის ბურჟუაზიულ რესპუბლიკასთან. გერმანიის ხელისუფლების სათავეში მყოფნი „დემოკრატები" და „სოციალ-დემოკრატები" დიდხანს ეწინააღმდეგებოდენ საბჭოთა რუსეთთან კავშირის დაჭერას მიუხედავათ იმისა, რომ გერმანიის მთელი მუშათა კლასი, უკვე ორი წლის განმავლობაში, მოითხოვს ამ კავშირის აღდგენას. დამარცხებულ გერმანიის მიმართ „გამარჯვებული ქვეყნების" მხოლოდ შეილოკურმა შეურიგებლობამ, რომელიც სწარმოებდა გენუაში, აიძულა გერმანიის ეხლანდელი მთავრობაც კი დამდგარიყო საბჭოთა რუსეთის შეთანხმების გზაზე ისტორიულ პერსპექტივაში რაპალოში დადებულ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. დიდი რუსეთი, თავისი 150 მილიონიანი მცხოვრებლებით და უმთავრესად სასოფლო მეურნეობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიასთან კავშირში, მისი პირველ-ხარისხოვანი მრეწველობით, იქნება ისეთი ძლიერი კოოპერაცია, ისეთი უძლეველი სამეურნეო თანამშრომლობა რომელიც გადალახავს თავის გზაზე ყოველგვარ დაბრკოლებათ. ამ ჟამად გერმანიის მხრივ ხელშეკრულებას ხელს აწერს ბურჟუაზიულ-მენშევიკური მთავრობა. მაგრამ ყველამ იცის, რომ ესა თუ ის შემადგენლობა გერმანიის ბურჟუაზიულ-მენშევიკურ მთავრობისა წარმავალია. ხოლო მუშათა კლასი კი დარჩება. გერმანიის მუშათა კლასი აუცილებლად ჩაიგდებს ხელში თავისი ქვეყნის ხელისუფლებას **გერმანია გახდება საბჭოთა სახელმწიფოთ**, და როდესაც რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება ორი დიდი საბჭოთა ქვეყნისა, ეს იქნება ისეთი უძლეველი ბაზა ნამდვილი კომუნიზმის ასაშენებლად, რომლის წინაშეც ვერ გასძლებს რამდენიმე წელსაც კი ძველი გაცვეთილი დახავსებული „ევროპა“. ამ აზრით შეიძლება ვთქვათ, რომ ახლო მომავალ წლებში კაცობრიობის ბედ-იღბალი დამოკიდებული იქნება გერმანიის მუშათა კლასის წარმატებისაგან. გერმანიის პროლეტარიატის გამარჯვება „თავისი“ ქვეყნის ბურჟუაზიაზე, შეიტანს ჯერ არნახულს ცვლილებას მთელი ევროპის საზოგადოებრივ ურთიერთობაში როდესაც გერმანიის პროლეტარიატი დაამარცხებს თავის ქვეყანაში 2 და 2 ნახევარი ინტერნაციონალების გავლენას ამით გადაიშლება ახალი ფურცელი კაცობრიობის ისტორიაში.

**2 და 2 ნახევარი ინტერნაციონალების კონტრ-რევოლიუციონური როლი.**

ხოლო 2 და 2 ნახევ. ინტერნაციონალების საცოდავი კონტრ-რევოლიუციონური როლი არას დროს არ ყოფილა ისე ცხადი და აშკარა, როგორც იმ კვირეებში, როდესაც გენუაში გამართული იყო სხდომები საერთაშორისო კონფერენციისა. ყველაფერი შესაძლებელი და შეუძლებელი ჩაიდინეს 2 და 2 ნახევ. ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა იმისათვის რომ ხელი შეეშალათ მთელი ქვეყნის მუშებისათვის მოეწვიათ თავისი კონგრესი თა მსოფლიოს პროლეტარიატის სახელით ჩამოეყალიბებიათ თავისი პროლეტარული პროგრამა, ევროპისა და მთელი ქვეყნის აღორძინებისა. ყოველივე შესაძლებელი და შეუძლებელი გააკეთეს 2 და 2 ნახევ. ინტერნაციონალების წარმომადგენლებმა იმისათვის, რომ გაეადვილებიათ ბურჟუაზიის ხელმძღვანელებისათვის ლლოიდ-ჯორჯისა და ბარტუსათვის მათი ყაჩაღური მუშობა მსოფლიოს პირველი პროლეტარული რესპუბლიკის გასაძარცვავათ. გერმანიის სოციალ-დემოკრატებმა სამის ინტერნაციონალის კონფერენციაზე ბერლინში **უარი სთქვეს მხარი დაეჭირათ ყაჩაღური ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვის მოთხოვნისათვის**. მოღალატურმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ მარტო ამით მიაყენა საბოლოოთ სასირცხო დაღი. იმის მაგივრად, რომ მოეწოდებიათ მუშები პროტესტისაკენ, ნაცვლად იმისა, რომ გამოეფხიზლებიათ გონება მუშათა კლასისა და დაერაზმათ ისინი ევროპის ბურჟუაზიის მებაირახტრეთა საწინააღმდეგო ბრძოლისათვის, ამის მაგივრად 2 და 2 ნახევ. ინტერნაციონალის ხელმძღვანელები ფეხის წვერებზე დაძვრებოდენ გენუის გარშემო და თვითეული მათგანი მოწიწებით შესცქეროდა თვალებში „თავის“ ბურჟუაზიულ მინისტრს. ტუჩებზე ხელის მიდებით ისინი ემუდარებოდენ მუშებს არავითარ შემთხვევაში დაერღვიათ მყუდროება, რათა მკაცრი პროლეტარული სიტყვა სიმართლისა და აღშფოთებისა, არ მიწვდენოდა კეთილშობილ ყურებს იმ მინისტრებისას, რომელნიც შეიკრიბენ გენუაში, რომ გაეძარცვათ საბჭოთა რუსეთი და მოემზადებიათ ახალი იმპერიალისტური ომები. მთელი ქვეყნის მოწინავე მუშები არას დროს არ აპატიებენ 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალებს იმ სამარცხვინო როლს, რომელიც მათ ითამაშეს გენუაში. 2 და 2 ნახ.-თა ინტერნაციონალის მოქმედებამ გენუის დროს აშკარა სიცხადით დაამტკიცა, რომ 1922 წლის ივლისის განმავლობაში სხვა და სხვა პირობების წყალობით, რომ განმეორებულიყო ისეთივე ამბები რომელიც მოხდა 1914 წლის ივლისში, 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიის ბატონი ხელმძღვანელები ისევ მოუწოდებდენ მუშებს სამშობლოს დაცვისაკენ“, ე. ი. ერთი მეორეს ამოსახოცათ, როგორც ეს ჩაიდინეს ვანდერველდებმა და შეიდემანებმა პირველი საერთაშორისო იმპერიალისტური ომის დროს,

**კომუნისტური ინტერნაციონალის განცხადება.**

გენუის კონფერენციის დასრულებისას ანტანტის წარმომადგენლები ერთხელ კიდევ შეეცადნენ დაეწყოთ მსჯელობა კომუნისტების „დამღუპველ პროპაგანდის“ შესახებ.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს: არავითარი ვალდებულებით საერთაშორისო ამხანაგობა მუშებისა, რომელთაც თავი მოუყრიათ კომინტერნის გარშემო, არ იბორკავს და არც შეიბორკავს თავის ხელებს. ჩვენ ბურჟუაზიის სამკვდრო-სასიცოცხლოდ მტრები ვართ. ყოველი პატიოსანი კომუნისტი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებს სიტყვით და საქმით და როდესაც საჭირო იქნება იარაღითაც ხელში, ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ. დიახ, კომუნისტური ინტერნაციონალის პროპაგანდა იქნება „დამღუპველი“ თქვენთვის, ბატონო იმპერიალისტებო სწორედ ასეთია ისტორიული მისია კომინტერნისა—გახდეს მესაფლავეთ ბურჟუაზიული წესწყობილებისა. ნუ გაგვიწრისხდებით ბატონო იმპერიალისტებო; მანამდის, სანამ თქვენი არსებობით თქვენ შეურაცყოფთ თვითეული შეგნებული პროლეტარიატის გრძნობას, სანამ თქვენი მოშხამული სიმყრალით თქვენ სწამლავთ მთელ კაცობრიობას, სანამ მილიარდერების პატარა ჯგუფი განაგრძობს თავისი კეთილდღეობას შენების მუშათა კლასის აუარებელ ძვლებზე, სანამ, ერთის სიტყვით, არსებობს თქვენთან ნაკურთხი კაპიტალისტური წყობილება, მანამდის კომუნისტების „დამღუპველი“ პროპაგანდა არ შესწყდება.

**საფრანგეთის მუშებო!** სიტყვა თქვენ გეკუთვნით· მოიმოქმედეთ ყოველივე, რაც კი თქვენზეა დამოკიდებული, რომ დაამხოთ ბარტუს მთავრობა, რომელიც არცხვენს საფრანგეთს. მოსთხოვეთ პასუხი იმ რეაქციონურ ბანდას, რომელიც ღუპავს საფრანგეთს და რომელსაც სურს სძარცვოს საბჭოთა რუსეთი.

**ინგლისის მუშებო!** რამოდენიმე **წლის** განმავლობაში თქვენ მოითხოვთ საბჭოთა რუსეთის ცნობას და ამავე წლების განმავლობაში თქვენი ბურჟუაზია, სოციალ-გამყიდველ გენდერსონებისა და მაკდონალდების დახმარებით გატყუებს თქვენ. ნუ თუ გენუის კონფერენციამ არ აგიხილათ თქვენ თვალები-

**იაპონიის მუშებო!** ევროპის ყაჩაღური მთავრობებიც კი იძულებულნი გახდენ ხელი მოეწერათ საბჭოთა რუსეთის ,,თავდასხმაზე უარის განცხადების‘‘ ხელშეკრულებისათვის მხოლოდ სისხლში გისვრილმა თქვენმა მთავრობამ მოითხოვა თავისთვის პრივილეგიები: მას სურს ძველებურად განაგრძოს შორეულ აღმოსავლეთში ყოველ-დღიური ყაჩაღური თავდასხმა შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის მშრომელ ხალხზე. იაპონია რევოლიუციის მოლოდინშია. იაპონიის ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ნაწილიც კი ოპოზიციაში უდგას დღევანდელ რეჟიმს. იაპონიის მუშებო! ჩაუდექით სათავეში უკვე გამოჩენილ რევოლიუციონურ მოძრაობას **ყელში წაუჭირეთ ხელი იაპონიის მონარქიას და მაგრათ გულზე ფეხი დააჭირეთ მას.**

**გერმანიის მუშებო!** რაც შეიძლება საჩქაროთ მოახდინეთ ხელისუფლების დაპყრობა. თქვენ ამით დიდ ლოდს მოაცილებთ საერთაშორისო პროლეტარიატს, საოცარი სისწრაფით დააჩქარებთ ისტორიულ პროცესს. თქვენ ხელშია პროლეტარული რევოლიუციის ბედიღბალი. დეე, თქვენ პაროლად გახდეს: **ძირს გამყიდველი სოციალ-დემოკრატები, ძირს კაპიტალის ხელისუფლება, გაუმარჯოს მუშურ მთავრობას.**

**რუსეთის მუშებო და წითელ არმიელებო!** თუ თქვენთვის კიდევ საჭირო იყო საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ მხოლოდ საბჭოთა მთავრობა იცავს ინტერესებს მთელი ქვეყნის პროლეტარიატისას, თქვენ მიიღეთ ამის უდავო დამტკიცებული საბუთები გენუის მაგალითით. თქვენ მძიმე პირობებში ხართ, მაგრამ ყველაზე უფრო დიდი ტანჯვა მაინც წარსულს ეკუთვნის გაუფრთხილდით, როგორც თქვენი თვალის ჩინს, საბჭოთა ხელისუფლებას. თქვენ სდგეხართ საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის მოწინავე პოზიციებზე სხვა ქვეყნების პროლეტარული არმიებიც მოვლენ თქვენ დასახმარებლად. გამარჯვება არ არის შორს.

უფრო მეტის ერთსულოვნებით, ვინემ ეს ამდენხანს იყო, მთელი ქვეყნის მუშათა გულიდან გაისმის ერთსულოვანი მქუხარე ძახილი: **ძირს ბურჟუაზია! ძირს მისი ლაქიები—სოციალ-დემოკრატები! გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს.**

**კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი.**

საქართველოს უ. ს. მ. ს. № 2 სტამბა.